შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N162/01/166-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს და შპს ,,ანაგი" - ს შორის 2011 წლის 15 დეკემბერს გაფორმებულ N162/01/166 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

ქ.თბილისი 14 აგვისტო, 2012 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, თეიმურაზ მაჩაიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ანაგი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ირაკლი გოგოლიშვილის სახით, მხარეთა შორის 2011 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული N162/01/166 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების, შპს ,,ანაგი"-ს 2012 წლის 01 აგვისტოს N1024 (05/3585) წერილისა და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის მოადგილის 2012 წლის 09 აგვისტოს N1244 სამსახურებრივი ბარათის, გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

1. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 15 დეკემბერს გაფორმებულ N162/01/166 ხელშეკრულებაში და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად, კორექტირებული სახით.
2. განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2011 წლის 15 დეკემბერს გაფორმებულ N162/01/166 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ღირებულება ნაცვლად 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარისა განისაზღვროს 11 507 591 (თერთმეტი მილიონ ხუთასშვიდიათას ხუთასოთხმოცდათერთმეტი) ლარით.
3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.
4. შეთანხმება შედგენილია ოთხი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან სამი რჩება შემსყიდველ ორგანიაზაციას, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტო"-ს
დირექტორის მოადგილე
თეიმურაზ მაჩაიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს ,,ანაგი" - ს დირექტორი

ირაკლი გოგოლიშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

"ANAGI" LIMITED COMPANY GEORGIA 245416401

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ გიორგი ჩახნაშვილს

სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია სააგენტოსთან გაფორმებული 2011 წლის 15 დეკემბრის №162/01/166 ხელშეკრულების საფუძველზე, (რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 12 000 000, 00,ლარს) შ.პ.ს. "ანაგი" ანხორციელებს თბილისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (ქ. თბილისი ხიზანიშვილის ქუჩა) მშენებლობის სამუშაოებს, რომლის დასრულების ვადად ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2012 წლის 01 ოქტომბერი.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 29 მაისის №5-015007-2012 დასკვნაში ნათქვამია, რომ რეკომენდაცია ეძლევა დასამტკოცებლად ქ. თბილისში ხიზანიშვილის ქუჩაზე ასასენებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვას თანხით 10 956 918,91 ლარი, ამასთან მასალების ღირებულება გაკორექტირებული უნდა იქნას მასალების შეძენის ფაქტიური ფასებით ინვოისებისა და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურების საფუძველზე. შრომითი დანახარჯები აღებულია საბაზრო ფასებით, რომლებიც მშენებლობის პერიოდისათვის შეიძლება დაზუსტებულ იქნას მუშებთან დადებული ხელშეკრულებებით, დამკვეთთან შეთანხმებით.

ყოველივე ზემოთ აღნისნულის გათვალისწინებით მიმდინარე წლის 01 აგვისტოს №1024 წერილით შპს „ანაგი"-ს დირექციამ სააგენტოში წარმოადგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა თანხით 11 507 591.00 ლარი.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს განახორციელონ სათანადო ღონისძიებები.

დანართი: შპს „ანაგი"-ს წერილი და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

პატივისცემით,

თეიმურაზ მაჩაიძე

დირექტორის მოადგილე

შემსრულებელი
გიორგი თოდუა
მენეჯერი

მერაბ ჭონიაშვილი
სამშენებლო სამსახურის ფროსი

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო
შემოსული N 1244
- 09 - 08 20 12 წ.

№ 1024 01 აგვისტო 2012 წ.

სსიპ „საგანმანათლებო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო“-ს დირექტორს
ბატონ: გიორგი ჩახნაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ ქ. თბილისში ხიზანიშვილის ქუჩაზე მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას.

პატივისცემით,

შ პ ს "ანაგი"-ს გენერალური დირექტორი: **ძრაკლი გოგოლიშვილი**

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო
შემოსული N 05/3525
01 08 2012 წ.

შპს „ანაგი“ ს/კ: 245416401
მის.: ქ. ბათუმი 6009, ვაჟა-ფშაველას 42/5; თბილისი 0160, ვაჟა-ფშაველას 3
ტელ: (995 422) 27 41 39, ფაქსი: (995 422) 27 06 12